

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი №6 “7” სექტემბერი 2017 წელი
ბრძ. № 01-01/59 “8” სექტემბერი 2017 წელი
რექტორი გიორგი მათიაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

თბილისი
2017

1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

1.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიით და სტრატეგიული გეგმის მიზნებით და ამოცანებით განპირობებული საგანმანათლებლო, შრომის ბაზრის მოთხოვნა და სოციალური საჭიროება აკადემიურად მიმზიდველ საგანმანათლებლო პროგრამაზე. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპებია:

- საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დაგეგმვა-შემუშავებაში ჩართული პერსონალის და სტუქტურული ერთეულების განსაზღვრა (აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და სხვა) განსაზღვრა;
- საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების არსებობის და/ან მოძიების პერსპექტივების განსაზღვრა;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების განსაზღვრა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრა;
- სწავლების ენის განსაზღვრა;
- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობის განსაზღვრა.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

2.1. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდება გთუნი-ს შესაბამის პროგრამულ მიმართულებაზე/კათედრაზე.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წინაპირობას წარმოადგენს პროგრამული მიმართულების/კათედრის ეფექტიანი აკადემიური და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა;

2.3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პირველი ეტაპი:

- შრომის ბაზრის კვლევა და/ან სოციალური დაკვეთა პროგრამის ამოქმედების (რეგიონალურ/ეროვნულ/ევროპულ დონეზე) პერსპექტიულობაზე. პროგრამის საჭიროების განსაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი, პროფესიონალები და პროფესიული ორგანიზაციები) კონსულტაციების საფუძველზე;
- შესაბამისი კითხვარების შემუშავება;
- გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- დასაქმების ბაზრის შესწავლა და დასაქმების სფეროს/სავარაუდო პოზიციების განსაზღვრა;
- დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების და/ან პოზიციების ჩამოყალიბება;
- გამოვლენილი პოზიციებისთვის საჭირო კომპეტენციებით საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა;
- საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება (სწავლის შედეგების ზოგადი და დარგობრივი უნარების კლასიფიცირება) უნდა დაეფუძნოს განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და/ან საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (ასეთის

არსებობის შემთხვევაში);

- პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას:
 - ა) დარგის სწავლებისა და კვლევის ტრადიცია საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში;
 - ბ) მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება (მათი სასწავლო და კვლევითი პროგრამები);
 - გ) ბოლონის პროცესის მოთხოვნები;
 - დ) თუნინგის პროექტის მასალები. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგები¹.
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დადგენა.
- პროგრამისათვის აუცილებელი რესურსების (ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური) ხელმისაწვდომობა;
- აკადემიური თვალსაზრისით პროგრამის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობა.

2.4. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეორე ეტაპი:

2.4.1. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება.
- საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია.
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით.
- სწავლების ენა.
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელშიც ასახულია დასაქმებაზე ორიენტირებული კომპეტენციები, სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მეცნიერული საფუძვლების გაცნობა, სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბება, პიროვნული განვითარება და დასაქმებულობა; სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.
- საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო კვირების, საკონტაქტო საათების, კრედიტების რაოდენობა.
- სწავლის შედეგი.
- სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.
- სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით. პროგრამას თან უნდა ახლდეს:
 - სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
 - ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ;
 - პროგრამის ბიუჯეტი;
 - დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
 - პროგრამის დამტკიცების აქტი.

¹ მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგებად წარმოდგენილი იყოს მსოფლიოს (ამერიკული, ევროპული და ქართული) მოწინავე უნივერსიტეტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები.

2.4.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრს დამტკიცებულ № 120/ნ ბრძანებას „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“.

2.4.3. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

- პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „შუალედური კვალიფიკაცია“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.
- პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით.
- მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.

2.4.4. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 240 კრედიტის. ძირითად სპეციალობას, რომელშიც სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია უნდა დაეთმოს მინიმუმ 120 კრედიტი.
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არის არანაკლებ 120 კრედიტისა.
- რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სპეციალობის კომპონენტი შეადგენს პროგრამის მოცულობის არანაკლებ 75%-ისა (180 კრედიტი).
- სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური წელი შედგება ორი სასწავლო სემესტრისგან, თითოეული სემესტრი შედგება 21 კვირისგან. ბაკალავრიატში სწავლის ხანგრძლივობა (ძირითადი ვადა) არის 8 სემესტრი, მაგისტრატურაში - 4 სემესტრი.
- სტუდენტის დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტი). სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. სასწავლო უნივერსიტეტში ერთი კრედიტი = 25-30 საათს.

2.4.5. სწავლების ენა

- სწავლების ენა არის ქართული. დასაშვებია უცხოურ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და/ან გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება.
- საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
- საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე შეთავაზების შემთხვევაში

უნდა მიეთითოს შესაბამისი ენა.

2.4.6. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
- პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

2.4.7. სწავლის შედეგები

- სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ.
- სწავლის შედეგები აღიწერება ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
- სილაბუსში განსაზღვრული კომპეტენციებიდან პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში მიეთითება მხოლოდ ის, რომელთა პროგრამისთვის გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი სასწავლო კურსი.
- პროფესიული საქმიანობის სფერო და ობიექტი - სწავლების პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის, კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით დეტალური ინფორმაცია ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროს, საქმიანობის და დასაქმების ობიექტების აღწერა შესაძლო თანამდებობების ჭრილიდან.

2.4.8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

- პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
- სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.
- შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურად უნდა იყოს გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში.
- შეფასება უნდა ხდებოდეს სასწავლო კურსის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სათანადო სიხშირით.
- გამოყენებული შეფასების მეთოდების შესაბამისი წონების გადანაწილება უნდა იყოს ლოგიკური და სასწავლო კურსის მიზნების შესაბამისი.
- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა

ითვალისწინებდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

- საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის (კომპეტენციის) ფორმირების შეფასება უნდა განისაზღვროს უკანასკნელი სასწავლო კურსის შესაბამისი შედეგის შეფასების კრიტერიუმით.

2.4.9. სასწავლო გეგმა

- **სასწავლო გეგმა** — დოკუმენტი, რომელშიც განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ყველა კომპონენტის (მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, ნაშრომი და სხვა) დასახელება, ტიპი, კრედიტი, საათების განაწილება დატვირთვის სახეების მიხედვით, დაშვების წინაპირობა და სემესტრი.
- სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მოდიფიცირების შესაძლებლობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესაქმნელად (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტათათვის).
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შეიძლება შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

ა) საბაზისო სასწავლო კურსების მოდული (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით);

ბ) სპეციალობის სასწავლო კურსების მოდული:

- ✓ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით;
- ✓ სპეციალობის კონცენტრაციის მოდულები (საჭიროების შემთხვევაში);
- ✓ პროფესიული პრაქტიკა და/ან პრაქტიკული სასწავლო კურსები;
- ✓ კვლევითი ნაშრომი.

გ) თავისუფალი კომპონენტები.

- მოდულის/სასწავლო კურსის მითითებისას აღინიშნება: ა) სახელწოდება; ბ) მოცულობა კრედიტებით; გ) სტუდენტის დატვირთვის სახეები (საათებში).
- სასწავლო გეგმის მოდულების/სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და მათზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურია. თითოეული კომპონენტისათვის განსაზღვრული უნდა იყოს იმ წინამორბედი სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რომელთა ცოდნა აუცილებელია მოცემული კომპონენტის წარმატებით ასათვისებლად.
- აუცილებელია სასწავლო გეგმას დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.

2.4.10. სასწავლო კურსების კოდების სისტემა

ა) კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების **ECTS** ევროპულ სისტემას გამჭვირვალეს და გასაგებს ხდის კრედიტების განაწილებაში სასწავლო კურსების დონეებისა და ტიპების გათვალისწინება. სასწავლო კურსების დაყოფას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახე:

- **Basic** – საბაზისო დონის კურსი, იძლევა წარმოდგენას (შესწავლა) დისციპლინაზე მინიმალურ დონეზე;

- **Intermediate** – საშუალო დონის კურსი (განკუთვნილია საბაზისო დონის გასაღრმავებლად).
- **Advanced** - მაღალი დონის კურსი (განკუთვნილია პროფესიონალური ცოდნის შემდგომ გასაღრმავებლად);
- **Specialized** – სპეციალური დონის კურსი (განკუთვნილია კონკრეტულ სფეროში ან კონკრეტულ დისციპლინაში ცოდნისა და გამოცდილების ფორმირებისათვის);

გ) კურსის ტიპები შეიძლება დაყოფილი იქნას შემდეგი სახით:

- **Compulsory** - სასწავლო კურსების ჯგუფი, რომელთა შესწავლა სავალდებულოა დროში მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით;
- **Electives** დისციპლინები, რომელთაც სტუდენტი შეისწავლის საკუთარი სურვილის მიხედვით.

2.4.11. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.

2.4.12. სასწავლო კურსის კოდში სიმბოლოებად გამოყენებულია დისციპლინის თვისებების ინგლისური დასახელების პირველი სიმბოლოები, ხოლო თანმიმდევრობის სქემა მოცემულია ცხრილში.

სავალდებულო სასწავლო	სასწავლო კურსის დონე	კრედიტების რაოდენობა
C	I	6

2.4.13. მაგალითად, ცხრილში მოცემული კოდი C I 6 ითვალისწინებს სავალდებულო (Compulsory), საშუალო დონის (Intermediate) 6 კრედიტის მქონე სასწავლო კურსს.

2.4.14. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის (პროფილი) სახეები

- სასაგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით:
 - ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
 - ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
 - გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა.

2.4.15. გთუნი-ში არარეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების პროფილი ეფუძნება ბ) ვარიანტის მოდიფიცირებულ სქემას, რომელშიც დამატებითი სპეციალობის კრედიტები ნაწილდება სპეციალობის საბაზისო და უცხო ენების მოდულზე.

2.4.16. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მატრიცის განსაზღვრა.

2.4.17. საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა სემესტრების მიხედვით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

3.1. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს შესაბამისი კათედრა წარუდგენს, ფაკულტეტის საბჭოს და მისი თანხმობის შემთხვევაში ამტკიცებს აკადემიური საბჭო. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას.

3.2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა ითვლება ერთ-ერთ აკადემიურ პასუხისმგებლობად, რომელსაც უპირატესად ახორციელებს გთუნი-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი მისი ადმინისტრაციული თანამდებობის მიუხედავად. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შედეგებს.

3.3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

- უძღვება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების/მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესს;
- კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას;
- ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სისტემატურ ანალიზს, რომლის შედეგებს, კათედრის სხდომაზე განხილვის და დამტკიცების შემდეგ, წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.;
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კურსებთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდის და კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, სხვა დაინტერესებულ პირებს;
- უზრუნველყოფს გუნდურ მუშაობას;
- ორგანიზაციას უწევს, პროგრამის ფარგლებში, აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას;
- შეისწავლის სტუდენტთა აზრს პროგრამისა და ცალკეული სასწავლო კურსის სწავლების შესახებ;
- მონაწილეობს სასწავლო კურსების სისტემურ ანალიზსა და მთლიანი პროგრამის შეფასებაში.
- პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის, დეკანის, ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოების წინაშე.

4. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პირობებისადმი

4.1. **სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა.** საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. სასწავლო დისციპლინებს უძღვებიან შესაბამისი პროფილის დოქტორები – სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და, პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, ეწევიან სამეცნიერო-კვლევით, პრაქტიკულ და მეთოდურ მუშაობას.

4.2. **სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა.** საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია

შესაბამისი სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით: სასწავლო კურსის სილაბუსით; სალექციო კურსებით; ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებით, დამატებითი საინფორმაციო (ინტერნეტ) წყაროებით; სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციებით; სწავლების მულტიმედიური ტექნოლოგიებითა და აუდიო/ ვიდეო მასალებით.

4.3. **სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.** საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციის პროცესი უზრუნველყოფილია პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობებითა და უახლესი კომპიუტერული ტექნიკით.

4.4. ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების პროფესიული პრაქტიკის გატარებას.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის ამაღლების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე „ ციკლს.

5.2. გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუბტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (რისკების) გამოსავლენად და სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.

6. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესი

6.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიციატორია სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამული მიმართულება/კათედრა, რომელიც ასრულებს მოცემული მეთოდოლოგიის 2 პუნქტს.

6.2. შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას (სილაბუსებთან ერთად) პროგრამული მიმართულება/კათედრა განსახილველად წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სასწავლო დეპარტამენტს.

6.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს პროგრამას, ადგენს რამდენად შეესაბამება ის საქართველოს კანონმდებლობას, წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს, შიდა რეგულაციებს და შესაბამის დასკვნას უბრუნებს პროგრამული მიმართულება/კათედრას.

6.4. პროგრამული მიმართულება/კათედრის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნას წარადგენს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განსახილველად.

6.5. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

7. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

7.1. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ატარებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას². ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის მოდიფიცირების დასკვნებს და რეკომენდაციებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასამტკიცებლად წარუდგენს გთუნი-ს აკადემიურ საბჭოს. რექტორის

² საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა

ბრძანებით დამტკიცებული დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფა-მოდერნიზაცია.

8. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი

- 8.1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე: სტუდენტთა ჯგუფი, აკადემიური პერსონალი, პროგრამული მიმართულება/კათედრა, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორი, დამსაქმებელი.
- 8.2. პროგრამაში ცვლილების ინიციატივა, რექტორის გადაწყვეტილებით, წერილობითი სახით შედის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში; ეს უკანასკნელი პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის, დარგის სპეციალისტების და დაინტერესებული მხარის მონაწილეობით განიხილავს პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობას.
- 8.3. დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამაში შესატანი ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინება გთუნი-ს რექტორს. პროგრამაში ცვლილების შეტანა მტკიცდება რექტორის მიერ.
- 8.4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების რეალიზაციას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი.

9. გარდამავალი დებულება

- 9.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.
- 9.2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და დაგეგმვის მეთოდოლოგია ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.